ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში, 2023 წლის 3 აგვისტოს ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის განსათავსებლად, ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო პირობები

ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში, 2023 წლის 3 აგვისტოს ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის განსათავსებლად, ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საუკეთესო წინადადების შესარჩევი კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) „დამკვეთი“ და „ორგანიზატორია“ ონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია).

I თავი

ზოგადი ნაწილი

1.1 ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 3 აგვისტოს ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, მერია პროფესიული საზოგადოების ჩართულობით აცხადებს ღია შემოქმედებით კონკურსს.

1.2 საკონკურსო მასალების შეფასებასა და გამარჯვებულის გამოვლენას მოახდენს “ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში, 2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის განსათავსებლად ლოკაციის, ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის საუკეთესო წინადადების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ” ონის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 7 მარტის N ბ78.7824067001 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია.

II თავი

კონკურსის მიზანი და ამოცანა

2.1 კონკურსის მიზანია ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში, 2023 წლის 3 აგვისტოს ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, მემორიალის განთავსება.

2.2 საპროექტო ტერიტორია განსაზღვრულია კურორტ შოვში, ე.წ. „რკინის წყლის“ მიმდებარედ, სადაც სამომავლოდ იგეგმება ეკლესიის მშენებლობა. შესაბამისად, მემორიალი უნდა პასუხობდეს როგორც გარემო პირობებს, ასევე კონცეპტუალურად თანხვედრაში უნდა იყოს ტაძართან და თემატურად პასუხობდეს საპროექტო იდეას. უშუალოდ ეკლესიის და მემორიალის განთავსების წინასწარ შერჩეული უბანი (500კვ.მ) მდებარეობს ზღვის დონიდან 1562 მ-ის აბსოლიტურ ნიშნულზე, ხასიათდება მკაცრი ბუნებრივი პირობებით და ცივი კლიმატით (X391479.3806 Y4728960.7182).

2.3 კონკურსის ამოცანაა, საზოგადოებრივი და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, ღია შეჯიბრების პრინციპზე დაყრდნობით, მემორიალის საუკეთესო ესკიზური ნამუშევრისა და მის განსახორციელებლად ოპტიმალური სახარჯთაღრიცხვო წინადადების (შემდგომში - წინადადება) გამოვლენა.
(იხილეთ: დანართი 1., დანართი 2.)

III თავი

კონკურსის პირობები

3.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ცალკეულ ავტორს ან/და ავტორთა ჯგუფს, ფიზიკურ ან/და იურიდიული პირს.

3.2 კონკურსი ცხადდება ღიად, ხოლო წარმოდგენილი წინადადებების შეფასება ხორციელდება ფარული წესით.

3.3 საკონკურსო მასალის წარდგენა და კონკურსის საქმიანობის წარმოება მოხდება ქართულ ენაზე.

3.4 მონაწილის მიერ დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო მასალები (დოკუმენტები და საპრეზენტაციო პლანშეტების ფორმატი, მასალის ჩაბარების ვადა და ა.შ.) კონკურსზე არ განიხილება.

3.5 ესკიზური ნამუშევრის მომზადებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება:

- ესკიზური ნამუშევრის კონცეფცია/შინაარსი, კომპოზიცია და არქიტექტურული მახასიათებლები უნდა პასუხობდეს საკონკურსო პირობებს და თანხვედრაში იყოს იმ გარემოსთან, სადაც წარმოდგენილი ნამუშევარი საბოლოოდ უნდა განთავსდეს.

3.6 კონკურსანტმა მემორიალის დასამზადებლად გამოსაყენებელი მასალები უნდა შეარჩიოს ბუნებრივი პირობების და კლიმატის გათვალისწინებით.

3.7 მემორიალის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 200 000 (ორასი ათასი) ლარს.

3.8 გამარჯვებული საკონკურსო წინადადების სავარაუდო ფასია - 9 800 (ცხრა ათას რვაასი) ლარი

3.9 კონკურსის ჩატარების პროცედურები და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის შესაძლო პრეტენზიები, რეგულირდება წინამდებარე საკონკურსო პირობებით.

IV თავი

კონკურსის კალენდარი

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად

<u>პირველი ეტაპი</u>

4.1 საკონკურსო წინადადებების პირველი ეტაპის მიღება-რეგისტრაცია ხორციელდება - კონკურსის გამოცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე - ქალაქი ონი, დ. აღმაშენებლის ქ. №40. ან ელექტრონულ მისამართზე mariamgobejishvili01@gmail.com

4.2 საკონკურსო წინადადების წარმოსადგენი მასალები:

ა) არქიტექტურული ნახაზები - სიტუაციური გეგმა - მ. 1:200 ან მ. 1:500, ორი ხედი - მ. 1:10, მათ შორის არსებულ გარემოში ორი ფოტომონტაჟი. მასალები განთავსებული უნდა იყოს A-2 ზომის პლანშეტზე ჰორიზონტალურად (არაუმეტეს 2 პლანშეტი).

ბ) ელექტრონული ვერსია - PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით არაუმეტეს 25 მგბ), აგრეთვე დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (200 dpi).

გ) განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მომზადდეს A-4 ფორმატზე, №12 შრიფტით, არა უმეტეს 4 (ოთხი) გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლარად. განმარტებით ბარათში ნათლად, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროექტის კონცეფცია, ასევე ზუსტად უნდა იყოს მითითებული რა მასალაში განხორციელდება მემორიალი. ავტორების შეხედულებისამებრ შესაძლებელია დამატებითი მასალების წარმოდგენაც;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.

<u>მეორე ეტაპი</u>

4.3 პირველ ეტაპზე გამარჯვებული 3 (სამი) კონკურსანტი 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) არქიტექტურული ნახაზები - სიტუაციური გეგმა - მ. 1:200 ან მ. 1:500, კომპოზიციური გეგმა - მ. 1:10, ორი ხედი - მ. 1:10, მათ შორის არსებულ გარემოში ორი ფოტომონტაჟი. მასალები განთავსებული უნდა იყოს A-2 ზომის პლანშეტებზე ჰორიზონტალურად (არაუმეტეს 2 პლანშეტი);

ბ) მემორიალი - აღქმადი მაკეტის სახით;

გ) ელექტრონული ვერსია - PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით არაუმეტეს 25 მგბ), აგრეთვე დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (200 dpi).

დ) განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მომზადდეს A-4 ფორმატზე, №12 შრიფტით, არა უმეტეს 4 (ოთხი) გვერდზე, 2 (ორი) ეგზემპლიარად. განმარტებით ბარათში ნათლად,

მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროექტის კონცეფცია, ასევე ზუსტად უნდა იყოს მითითებული რა მასალაში განხორციელდება მემორიალი. ავტორების შეხედულებისამებრ შესაძლებელია დამატებითი მასალების წარმოდგენაც;

ე) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - Excel-ის ცხრილის სახით, სადაც ჩამოთვლილი იქნება მემორიალის დამზადებისა და განთავსებისთვის საჭირო მომსახურება და მოცემული იქნება მისი დამზადებისა და განთავსების საერთო ღირებულება (ყველა გადასახადის ჩათვლით).

(გეოლოგიური დასკვნა, განმარტებითი ბარათი, საპროექტო გეგმები, საპროექტო ჭრილები, კონსტრუქციული ნახაზები, ფასადები/რენდერები, ელ. გაყვანილობის სქემატური ნახაზები დეტალური ხარჯთაღრიცხვა.)

V თავი

საკონკურსო კომისია

5.1 საკონკურსო კომისიას ჰყავს კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

5.2 კომისიის საქმიანობის ორგანიზებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის მდივანი, რომელიც ახორციელებს:

ა) საკონკურსო მასალების მიღება-დაბრუნებას;

ბ) მასალების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენას;

გ) საკონკურსო კომისიის ოქმების შედგენას;

დ) კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექნიკური საკითხის წარმართვას;

5.3 საკონკურსო კომისიის მდივანი საკონკურსო მასალების შეფასებისას სარგებლობს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით და არ არის საკონკურსო კომისიის წევრი.

5.4 საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საკონკურსო კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5.5 საბოლოო გამარჯვებულად ცხადდება ის საკონკურსო წინადადება, რომელიც მიიღებს შეფასების მაღალ კრიტერიუმებს.

5.6 საკონკურსო კომისია, კონკურსის მსვლელობისას მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებას აფიქსირებს ოქმის სახით, მათ შორის, საბოლოო გადაწყვეტილებას, ოქმის ასლები შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა ნებისმიერ მსურველს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოქმს ხელს აწერს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი.

5.7 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, საკითხების დამატებით გარკვევის მიზნით მოიწვიოს ექსპერტები, რომლებიც არ მონაწილეობენ პროექტების შეფასებაში.

5.8 საკონკურსო კომისია შეიკრიბება საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5.9 საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.10 საკონკურსო კომისიის წევრებს, მათ შორის, საკონკურსო კომისიის მდივანს, მოწვეულ ექსპერტებს უფლება არა აქვთ, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად მიიღონ მონაწილეობა საკონკურსო პროექტების შემუშავებაში და ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის აცილება.

VI თავი

შეფასების კრიტერიუმები

6.1 პირველი ეტაპის ნამუშევრებიდან საკონკურსო კომისია ფარული კენჭისყრით შეარჩევს 3 (სამი) საუკეთესო საკონკურსო წინადადებას.

6.2 მეორე ეტაპზე გადასული 3 (სამი) საუკეთესო წინადადებიდან საკონკურსო კომისია შეარჩევს ერთ საუკეთესოს, რომლის ავტორს ან/და ავტორთა ჯგუფს მიენიჭება კონკურსში გამარჯვებულის სტატუსი;

6.3 გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ეყრდნობა კონკურსანტის მიერ საკონკურსო მასალების მომზადებას, კონკურსის მოთხოვნების სრულყოფილად დაცვას და საკონკურსო მასალების ჩაბარების პირობების ჯეროვან შესრულებას, ხოლო მასალების შეფასებისას საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობს ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმებით:

ძირითადი კრიტერიუმი - ვიზუალის მიხედვით:

დამატებითი კრიტერიუმი - ფასის მიხედვით.

6.4 შეფასების კრიტერიუმების ხვედრითი წონის კოეფიციენტები:

ა) ძირითადი კრიტერიუმის ხვედრითი წონის კოეფიციენტი - 0,7;

ბ) დამატებითი კრიტერიუმის ხვედრითი წონის კოეფიციენტი - 0,3.

შენიშვნა:

შეფასებისას საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ცალ-
ცალკე აფასებს ორივე კრიტერიუმს 10 ბალიანი სისტემით, ხოლო ყოველი კონკრეტული ესკიზის საბოლოო შეფასება განისაზღვრება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ თითოეული კრიტერიუმისთვის მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლების შეფასების კრიტერიუმების ხვედრითი წონების კოეფიციენტზე ნამრავლის ჯამური მაჩვენებლით.

6.5 საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირობების სხვაგვარად ინტერპრეტაცია დაუშვებელია;

VII თავი

კონკურსის მხარეთა ვალდებულებები

7.1 კონკურსის თითოეული მხარე **„კონკურსის დამკვეთი“ და „კონკურსის ორგანიზატორი“, „საკონკურსო კომისიის წევრი“** და **„კონკურსის მონაწილე”** ვალდებულია, კონკურსის მიმდინარეობისას ხელი შეუწყონ პროცესების მართლზომიერ წარმართვასა და კონკურსის დამთავრებამდე უზრუნველყონ საკითხთა კონფიდენციალურობა და საკონკურსო წინადადების ანონიმურობა.

7.2 **მერიისა და საკონკურსო კომისიის წევრთა ვალდებულება:**

ბ) მოახდინოს საკონკურსო წინადადებების საჯარო გამოფენა;

გ) გამარჯვებულ ავტორთან, წინადადების რეალიზების მიზნით გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება;

დ) შექმნას ყველა წინაპირობა, რათა წინამდებარე კონკურსი წარიმართოს გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად;

ე) შექმნას კონკურსის წარმართვისათვის ყველა სამართლებრივი წინაპირობა;

ვ) უზრუნველყოს საკონკურსო არეალისა და საკონკურსო ტერიტორიის საკვლევი სამუშაოების შესრულება.

7.3 **კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია:**

ა) ჯეროვნად შეასრულოს საკონკურსო პირობების მოთხოვნები;

ბ) „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ი მერიას ნებას რთავს გასცეს რეკომენდაცია, მისივე მონაწილეობით, გამარჯვებულად გამოვლენილ წინადადებაში (ნაწარმოებში) რაიმე ტიპის ცვლილებების შეტანის თაობაზე;

გ) კონკურსში გამარჯვებული წინადადების ავტორ(ებ)ი ონის მუნიციპალიტეტს გადასცემს ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს;

დ) იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია თვითონ განახორციელოს პროექტი, შესაბამისად მისი შესრულებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა და შესრულების ვადები არ უნდა აღემატებოდეს კონკურსის პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

VIII თავი
კონკურსის შედეგები

8.1 საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს.

8.2 კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან/ებთან მერია უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას.

8.3 საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობებათ კონკურსანტებს.

8.4 გამარჯვებულ კონკურსანტთან/ებთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშებზე.

8.5 კონკურსი ჩაშლილად ითვლება თუ, საკონკურსო კომისია არ გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

8.6 გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დამატებით ქვეყნდება: ონის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8.7 კონკურსის მონაწილეებს წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები უკან უბრუნდებათ.

8.8 კონკურსი არ ითვალისწინებს საკონკურსო პრემიას.

თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი 1. ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

დანართი 2. ორთოფოტო